

# ქუთაისის აეროპორტის მგზავრებისთვის მატარებლის ბიღეთები 7 დღის განმავლობაში უფასო იქნება



საქართველოს რკინიგზის  
საჩუქარი ქუთაისის  
აეროპორტის მგზავრებს:  
თითოეული მოქალაქე,  
რომელიც ქუთაისის  
აეროპორტში ჩაფრინდება  
ან ქუთაისის  
აეროპორტიდან სხვადასხვა  
მიმართულებით  
გაემგზავრება,  
საქართველოს

**რკინიგზისგან მატარებლების ბიღეთებს უფასოდ მიიღებს.**

რკინიგზის პრესსამსახურის ინფორმაციით, 30 აპრილიდან შვიდი დღის განმავლობაში ყველა მგზავრი, რომელიც ქუთაისის აეროპორტის ავიაბიღეთს რკინიგზის სადაროში წარადგენს, თბილისიდან, ბუგდიდიდან, ბათუმიდან, ფოთიდან და ოზურგეთიდან კოპიტნარამდე და კოპიტნარიდან თბილისის, ბათუმის, ბუგდიდის, ფოთისა და ოზურგეთის მიმართულებით – უფასოდ იმგზავრებს.

*„მთავრობის სპეციალური განკარგულებით, განახლებული სადგურიდან ქუთაისის აეროპორტამდე და აეროპორტიდან სადგურამდე მგზავრების გადაყვანას საქართველოს აეროპორტების გაერთიანება უზრუნველყოფს. შეგახსენებთ, რომ სადგურში სახელწოდებით „ქუთაისის აეროპორტი“ ყველა სამგზავრო მატარებელი გაჩერდება“, – აცხადებენ საქართველოს რკინიგზაში.*